აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 25

21 სექტემბერი 2012 წელი ქ. ბათუმი

საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“ წარმომადგენლების საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

2012 წლის 20 სექტემბერს საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ №79 ბათუმის საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლებმა გურამ სალაძემ და ვლადიმერ ხუბულავამ მომართეს უმაღლეს საარჩევნო კომისიას და მოითხოვეს ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №16/2012 განკარგულების ბათილად ცნობა. №79 საოლქო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №16/2012 განკარგულებით განუხილველად დარჩა 2012 წლის 18 სექტემბრის საჩივარი №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №19 საუბნო საარჩევნო კომისიის 2012 წლის 15 სექტემბრის №12/2012 განკარგულება გასაჩივრების ვადისა და წესის დარღვევის გამო, რომელიც წარმომადგენლებმა გაასაჩივრეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-13 პუნქტის, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. განუხილველად დარჩეს საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ წარმომადგენლების გურამ სალაძისა და ვლადიმერ ხუბულავას საჩივარი ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო

კომისიის 2012 წლის 19 სექტემბრის №16/2012 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე გასაჩივრების წესის დარღვევის გამო.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**